სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხელშეკრულება №120

ქ. ბათუმი

23 აგვისტო 2016 წელი

ერთის მხრივ, ააიპ „ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი სააგენტოს **დირექტორის** მ/შ ვაჟა მეგრელიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,საბატა“-ს დირექტორის (მის: ქ.ბათუმი,ვაჟა ფშაველას ქ.N40) მალხაზ თავდგირიძის **სახით** (შემდგომში „მიმწოდებელი“),სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” (შემდგომში „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი – შემსყიდველს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებილი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი/მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრუ-ლების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და საკონსულტაციო მომსახურება *შესყიდვის (CPV72200000)*,კერძოდ **საწყობის პროგრამა,**რომლის ღირებულებაც შეადგენს 800(რვაასი) ლარს.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

---

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება საერთო ჯამში შეადგენს 800 (რვაას) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების/საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანადაფინანსების თავისებურებათა გათვალისწინებით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები.

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შემდეგ.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტისა და მომსახურების/სასაქონლო ზედნადების ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მომსახურების მიწოდება ხდება მიმწოდებლის ადგილსამყოფელის მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და სასაქონლო ზედნადები.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:

- მიწოდებული მომსახურების/საქონლის დასახელება;
- მიწოდებული მომსახურების/საქონლის ღირებულება;
- მიწოდებული მომსახურების/საქონლის მოცულობა.

5.4. შემსყიდველი მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს – **თამაზ ხუხუნი, ააიპ " ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო''-ს** საწყობის გამგე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

---

6. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა.

6.1. მომსახურების/საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი ა.წერეთლის ქ. N2.

6.2. **საქონლის** მიწოდება უნდა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 29 აგვისტოსი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება:

ბ) მომსახურების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიწოდებულის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრუ-ლებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს საჭიროებისამებრ შესაბამისი კომსულტაციების გაწევა მიმწოდებლისათვის მომსახურების მიწოდების პროცესში;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებულის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გასწიოს მომასხურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 2.2, და 6.2 პუნქტებში;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი;

8. გარანტია

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული მომსახურების შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

8.2. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები მომსახურების მიწოდების პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს

შემსყიდველი

_____

მიმწოდებელი

_____

მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს სამსახურის ფინანსური მენეჯერი ზვიად გოგიტიძე და შესყიდვების მენეჯერი მინდია მახარაძე.

9.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

9.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,3%-ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს. შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პიგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულებია გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

11.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე ულებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 11.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

11.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშე-თანხმების საფუძველზე.

12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეოერ მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინაღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ოქტომბრამდე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

---

15. მხარეთა რეკვიზიტები

ააიპ "ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო"	**შპს „საბატა“**
მისამართი: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის 25	მისამართი: ქ.ბათუმი,ვაჟა ფშაველას ქ.N40
საიდენტიფიკაციო კოდი: 445475405	საიდენტიფიკაციო კოდი: 245550185
სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკი“
სახაზინო კოდი:03 04 04	კოდი: MIBGGE22
სარეკრიაციო ინფრასტრუქტურის მართვა	ანგარიშის NGE73PC0033600100028844
დ ი რ ე ქ ტ ო რ ი ს მ/შ:	დირექტორი
ვაჟა მეგრელიძე	**მალხაზ თავდგირიძე**

შემსყიდველი

მიმწოდებელი